ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3180372

ნომერი: AR1489570

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 13.04.2017

გაცნობის თარიღი : 13.04.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/109) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია შალიკაშვილი პ/ნ 35001004325
- თბილისი, კვერნაძის 35

ორგანიზაცია:
- შპს სპორტის სასახლე კოდი: 2011360944

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 27 მარტის 2017 წლის AR1464504 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.10.13.033.109) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ ნაკვეთის გაბარიტული მაჩვენებელებიდან გამომდინარე (22796 კვ.მ) და მასზე მოქმედი ზონების გათვალისწინებით ნაკვეთი საჭიროებს გრგ-ს რეჟიმს, კანონმდებლობით აღნიშნული არეალის სამშენებლო განვითარება დასაშვებია მხოლოდ გრგ–ს ფარგლებში.
აღნიშნული ტერიტორია უნდა განვითარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ)-ს ფარგლებში (მინიმალურუ ფართი 5000 კვ.მ) შესაბამისად არქიტექტურის სამსახურს თქვენ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დასადგენად, შესაბამისად უნდა დაარეგისტიროთ განაცხადი: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი რჩება განუხილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.